საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030650867754319

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/2768 **24 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2019 წლის 17 ივლისს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (კდრ) მიმდინარე ებოლას ეპიდაფეთქება, რომელიც 2018 წლის აგვისტოში დაიწყო, შეფასდა როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხე. გადაწყვეტილება უკავშირდება დაავადების საერთაშორისო გავრცელების რისკებს, რაც გამოწვეულია დაავადების ნოზოკომიური გავრცელებით; ებოლას სამკურნალო ცენტრებში შემთხვევების გამოვლენისა და მათი განცალკევების დაგვიანებით; ასევე, ეპიდაფეთქებების ტერიტორიებიდან მოსახლეობის გადინებით კდრ-ის ან სხვა ქვეყნის ნაკლებად დაზიანებული ტერიტორიების მიმართულებით.

2019 წლის 20 ივლისის მონაცემებით, მიმდინარე ეპიდაფეთქების განმავლობაში, რეგისტრირებულია ებოლას 2 578 შემთხვევა, მათ შორის 1 737 გარდაცვალება.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ გასცემს კდრ-ში სამგზავრო და სავაჭრო შეზღუდვების დაწესების რეკომენდაციას. ჯანმოს შეფასებით, იმ ქვეყანებში, რომელიც არ ესაზღვრება კდრ-ს, (მ.შ. საქართველოში) არ არის სამგზავრო და სავაჭრო შეზღუდვების დაწესების საჭიროება და სკრინინგული ღონისძიებების დანერგვის საჭიროება აეროპორტებსა და სხვა შემოსასვლელ პუნქტებში.

აქვე მოგახსენებთ, რომ 2014 წელს დასავლეთ აფრიკაში მიმდინარე ებოლას ვირუსული დაავადების ეპიდაფეთქებისას საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ იქნა განკარგულება N1807 (1 ოქტომბერი, 2014 წ.) „ებოლას ვირუსით გამოწვეული დაავადებების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმა“.

ცენტრი ამჯერადაც მზადაა იმოქმედოს აღნიშნული გეგმის შესაბამისად და მიუხედავად დაავადების იმპორტირების მინიმალური რისკისა, უზრუნველყოს ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევა.

ჯანმო-სა და ევროპის დაავადებათა პრევენციის და კონტროლის ცენტრის (ECDC) შეფასების თანახმად, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოგზაურობისა და ტრანსპორტირების რისკების შეფასება. მგზავრებს, რომლებიც ტოვებენ ან ჩავიდნენ კდრ-ში, სადაც ებოლას ვირუსული დაავადების ტრანსმისიაა შესაძლებელი, უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია პოტენციური რისკების შესახებ შესვლის ან გამგზავრების ადგილებში (მაგ., აეროპორტები, პორტები, ჩასხდომის და გამგზავრების დარბაზი, სახმელეთო სატრანსპორტო კვანძები). ვიზიტორები, რომლებიც იმყოფებოდნენ კდრ-ში, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში დაბრუნებიდან 3 კვირის განმავლობაში მათ გამოუვლინდათ ებოლას ვირუსული დაავადებისთვის დამახასიათებელი

სიმპტომები, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ სამედიცინო დახმარებას და ინფორმაცია მიაწოდონ ექიმს მოგზაურობის შესახებ.

აღნიშნული მონაცემების მოძიების მიზნით, ცენტრის, როგორც ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (IHR 2005) საკონტაქტო უწყების მიერ გაიგზავნება წერილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურში, რათა უზრუნველყოფილ იქნას კდრ-დან საქართველოში ჩამოსული (მათ შორის ტრანზიტულად) მგზავრებისათვის ა) ინფორმაციის მიწოდება - სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის პირველი მიმართვის დაწესებულებების შესახებ და ბ) დაკონკრეტდეს ქვეყანაში მათი განთავსების ადგილი (მთავრობის 2014 წლის განკარგულება N1807, პუნქტი 3).

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ რისკი საქართველოსთვის მინიმალურია, ჯანდაცვის სისტემის მზაობისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისის ღონისძიებები გატარდეს ჯანდაცვის დეპარტამენტისა და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ.

ებოლას გავრცელების კერაში ეპიდსიტუაციის შესაძლო გამწვავების შესახებ ინფორმაციას დამატებით წარმოგიდგენთ დაუყოვნებლივ.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე